



საქართველოს შოთარუსთაველისთეატრისადაკინოს
სახელმწიფოუნვერსიტეტი

სასწავლოპროცესისმართვისინსტრუქცია

განხილული და დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი #10, 16. 02. 2017

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. საქართველოს შოთარუსთაველისთეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს სამიტიპის აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამას:
- ბაკალავრიატი
 - მაგისტრატურა
 - დოქტორანტურა
1. 2. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა დამთავრებულად ანუ სტუდენტის მიერათვისებულად (მიღწეულად) ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს:
- საბაკალავრო პროგრამაზე - 240 კრედიტს;
 - სამაგისტრო პროგრამაზე - 120 კრედიტს;
 - სადოქტორო პროგრამაზე - 180 კრედიტს.
- 1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამთავრებულად ანუ სტუდენტის მიერათვისებულად (მიღწეულად) ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების სრულ რაოდენობას.
- 1.4. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ გაიცემა შესაბამისი დიპლომიდანართით და სტუდენტს ენიჭება შემდეგი კვალიფიკაციები:
- ბაკალავრიატის შემდეგ - „ბაკალავრი“;
 - მაგისტრატურის შემდეგ - „მაგისტრი“;

➤ დოქტორანტურის შემდეგ-„დოქტორი“.

1.6. სწავლება არის სემესტრული (ორისემესტრი). ერთსემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 (15 სასწავლო და 4 სასესიო - კვირას). სრული აკადემიური წელი მოიცავს 40 კვირას (ყოველსემესტრულ 19-19 კვირას ემატება 2 კვირა დამატებითი სასესიო პერიოდის სახით). სასწავლო კვირები (15 კვირა) ეთმობა მეცადინეობებისა და შუასემესტრული გამოკითხვების ჩატარებას, ხოლო სასესიო კვირები - საბოლოო გამოცდების ჩატარებასა და აკადემიური დავალიანებების აღმოფხვრას.

1.7. სწავლება წარმართება მეცადინეობის სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების საშუალებით, როგორცაა ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი, სტუდიური (შემოქმედებითი) მუშაობა, პრაქტიკა, საკურსო სამუშაო და სხვა. თითოეული სასწავლო კურსი, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სწავლების შემოთხამოთვილ ერთ, ან რამდენიმე ფორმას.

მუზლი 2. სასწავლო პროცესის ორგანიზება

2.1. სასწავლო პროცესის ორგანიზებას ხორციელებს ფაკულტეტების დეკანატები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სპეციალისტები, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დეპარტამენტის შესაბამისი პერსონალი.

2.2. პროფესურა ვალდებულია სწავლება და სტუდენტთა მიღწევების შეფასება განახორციელოს სასწავლო კურსის შესაბამისი, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამტკიცებული სილაბუსების მკაცრი დაცვით.

2.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დეკანატთან ერთად ვალდებულია აწარმოოს სწავლების ადასტუდენტთა მიღწევის შეფასების პროცესის მუდმივი მონიტორინგი.

მუზლი 3. სტუდენტთა მიღწევის შეფასება

3.1. საქართველოს შოთარუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება/დაგროვება/ შესაძლებელია მხოლოდ შესასრულებელის სამუშაოს წარმატებით დასრულების შემდეგ.

3.2. თითოეული სასწავლო კურსის საკრედიტო სისტემის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.

3.3. სტუდენტთა რანჟირება (შეფასება) მათი მიღწევების მიხედვით განისაზღვრება შემდეგი სქემით:

ა) დადებითი შეფასებები:

1. (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
2. (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
3. (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
4. (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
5. (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) უარყოფითი შეფასებები:

1. (FX) ვერჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და დედამისი უკმაყოფილოა ან აბიჯდება მათგან;
2. (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა დანაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მიერ ჩატარებულ სამუშაო არარის საკმარისი დამსასაგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3.4. (FX)- უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტებს აქვთ უფლება დამატებით, დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ, ხელახლა გავიდნენ საბოლოო გამოცდაზე.

(F)- უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტები ვალდებული არიან სასწავლო კურსი ხელახლა გაიარონ.

3.5. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის თავის თეორიულ კურსებში საბოლოო გამოცდის შესაბამისი ქულათა მაქსიმალური რაოდენობა არის 40. დანარჩენი 60 ქულა უნდა განაწილდეს შუასემესტრულ შეფასებაზე (მაგ., დასწრება-ჩართულობა - მაქსიმუმ 15 ქულა, აქტივობა-მაქსიმუმ 25 ქულა (კრეატიული აქტივობა ან საშინაო დავალების შესრულება), შუალედური გამოკითხვა/შუასემესტრული შემოწმება/ -მაქსიმუმ 20 ქულა დასხვა).

3.6. სემესტრული შეფასება პროცენტულ გადანაწილებაში (60%-ის ან უმეტესის ფარგლებში) ცვლილებების შეტანის უფლება აქვს პედაგოგს - საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა ეს გადანაწილება მას წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი საბუთებში.

3.7. სტუდენტთა მიღწევების შეფასება წარმოებს მთელი სასწავლო წლის/სემესტრი განმავლობაში. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება უნდა წარმოადგენდეს შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის შედეგების ჯამს.

3.8. შუასემესტრული გამოკითხვები ჩატარდეს სემესტრის შუა (ნებისმიერ) კვირის სასწავლების პროცესის შეწყვეტის გარეშე.

შუასემესტრული შემოწმებატარდებასასწავლოკურსისსპეციფიკიდან გამომდინარე და შეიძლებაშეიცავდესგამოკითხვისერთ,ანრამდენიმეფორმას,როგორცაა:

➤ ტესტი

➤ საკონტროლოწერა-კოლოქიუმი

➤ პრაქტიკულინამუშევრისჩვენება/პრეზენტაცია დასხვა

- 3.9. შუალედურიშეფასებების შედეგებისმიხედვითდასკვნით(ფინალურ)გამოცდაზე დაშვებისათვის **თეორიულ კურსებში**აუცილებელია სტუდენტმა მოაგროვოს შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულობრივი რაოდენობის მინიმუმ 35%. ანუ მისი შუასემესტრული შეფასებების ჯამი თეორიულ კურსებში არ უნდა იყოს 21 ქულაზე ნაკლები.**საშემსრულებლო მიმართულების** კურსებში აუცილებელია სტუდენტმა მოაგროვოს შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულობრივი რაოდენობის მინიმუმ 40%. ანუ მისი შუასემესტრული შეფასებების ჯამი პრაქტიკულ კურსებში არ უნდა იყოს 24 ქულაზე ნაკლები.
- 3.10. თითოეულდისციპლინაშიშუასემესტრულიშეფასებისადა დასკვნითგამოცდის შეფასების სისტემა შედგენილი დასაგნისსილაბუსში დეტალურად გაწერილი უნდაიქნეს საგნისწამყვანიპროფესორისმიერ.
- 3.11. 3.6. და 3.5. პუნქტებშიმოცემული შუასემესტრულ შეფასებათა რაოდენობა და ქულათათანაფარდობაშეიძლებაშეიცვალოსსაგანმანათლებლოპროგრამისდა სასწავლოკურსის მიხედვით.კერძოდ:
- დადგინდესშუასემესტრულიშეფასება/გამოცდისფორმები;
 - თითოეული შუასემესტრული შეფასება/გამოცდისფორმისთვის დადგინდეს მაქსიმალური დაგამსვლელიქულების(დადგენილიმინიმუმი)რაოდენობა.
- 3.12. შუასემესტრულიგამოცდის/გამოკითხვისრაოდენობა ერთ სასწავლოკურსშისემესტრისგანმავლობაშიუნდაიყოს ერთი,არაუმეტეს2-სა. მაგრამ შუასემესტრული გამოცდისშეფასებამთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს20ქულასდამასშიარუნდაიყოსგანსაზღვრულიგამსვლელიქულა.
- 3.13. საშემსრულებლო/პრაქტიკული მიმართულების კურსებშითითოეული შუასემესტრული გამოკითხვის შედეგი ჩაითვალოს დადებითად, თუმასში მიღებულიაგამსვლელიანმეტიქულა.საშემსრულებლო/პრაქტიკული მიმართულების კურსებში შუასემესტრული გამოცდის დადებით შედეგად ჩაითვლება მინიმუმ 9 ქულა, ხოლოდასკვნითი გამოცდისდადებით შედეგად ჩაითვლება სტუდენტის მიერ მიღებულ ქულათა რაოდენობა,რომელიც შეადგენს მინიმუმ 17 ქულას.
- 3.14. თეორიულ კურსებში დასკვნითი გამოცდის დადებით შედეგად ჩაითვლება სტუდენტის მიერ მიღებულ ქულათა რაოდენობა, რომელიც შეადგენს შეფასებისთვის განსაზღვრულ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის მინიმუმ 50%-ს (მინიმუმ 20 ქულა).

- 3.15. დასკვნით(ფინალურ) გამოცდაზე არ დაიშვებაის სტუდენტი, რომელსაც შუალედურიაქტივობის მიხედვით, მთლიანობაშიარაქვსდადებითიშეფასება(გამსვლელი - თეორიულკურსებშიმინიმუმ21- ქულა, საშემსრულებლო მიმართულების კურსებში - 24 ქულა შუალედურ შეფასებაში და მინიმუმ 9 ქულა შუასემესტრულ გამოცდაში).
- 3.16. მასწავლებლისბონუსი(მისი არსებობისშემთხვევაში)შუალედურ,საერთოშეფასებას ემატებასასწავლოკვირებისდასასრულს (არაუმეტეს 3 ქულია).
- 3.17. სტუდენტსუფლებააქვსთითოეულსასწავლოკურსშიერთისემესტრისგანმავლობაში
- სასწავლო კვირების განმავლობაში თითოეულ შუასემესტრულშეფასება/გამოცდაზეგავიდეხელდა შუასემესტრული შეფასება/გამოცდისაღდგენაზე ერთხელ.
 - სასესიოკვირებისგანმავლობაში საბოლოოგამოცდაზეგავიდეხმხოლოდორჯერ
- 3.18. ყოველისასწავლოკურსის წამყვანიპროფესორივალდებულიაშუასემესტრული გამოკითხვისშედეგები შეიტანოს ჟურნალში და წარუდგინოს დეკანატს გამოკითხვის ჩატარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
- 3.19. სტუდენტს გამოკითხვის/გამოცდის (შუალედური, დასკვნითი) შედეგი უნდა ეცნობოს გამოცდის ჩაბარებიდან/გამოკითხვის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3დღისა. დამატებითი გამოცდა საჭიროების შემთხვევაში ინიშნება შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5დღისა.
- 3.20. სამაგისტროპროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლონამუშევრისანსხვასამეცნიეროპროექტის/ნაშრომისშეფასებაშიეძლეებაამუხლისმე-3ანსადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრულისისტემით.
- 3.21. მაგისტრატურისსაგანმანათლებლოპროგრამისსამეცნიერო-კვლევითიკომპონენტისათვისამუხლისმე-3პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „1“ ქვეპუნქტიგათვალისწინებულიშეფასებისმიღებისშემთხვევაშიმაგისტრანტსუფლებაეძლევაგადამუშავებულისამეცნიერო-კვლევითიკომპონენტიწარადგინოსმომდევნოსემესტრისგანმავლობაში, ხოლოამუხლისმე-3პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „2“ ქვეპუნქტიგათვალისწინებულიშეფასებისმიღებისშემთხვევაშიმაგისტრანტიკარგავსიგივესამეცნიერო- კვლევითიკომპონენტისწარდგენისუფლებას.

მუხლი 4. სტუდენტისსასწავლოხელშეკრულება

- 4.1. სტუდენტის ვალდებულებაა დეკანატში გააფორმოს სასწავლო ხელშეკრულება სასწავლების პირველი სასწავლო წლის პირველი კვირის ბოლოს.
- 4.2. სასწავლო ხელშეკრულება შევსებული და ხელმოწერილი უნდა იყოს უშუალოდ სტუდენტის მიერ;
- 4.3. სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება შემდგენელთან, ხოლო მეორე - ბარდება დეკანატში და ინახება სტუდენტის პირად საქმეში;
- 4.4. აკადემიური დავალიანების აღმოფხვრის მიზნით სტუდენტს უფლება აქვს დამატებით შეისწავლოს წელიწადში 5 კრედიტამდე ოდენობის სასწავლო კურსი/კურსები;
- 4.5. სტუდენტის სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების ჯამი ერთი აკადემიური წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 60-ის ტოლი. თუმცა, სტუდენტს უფლება აქვს წელიწადში 15 კრედიტამდე ოდენობის სასწავლო კურსი/კურსების აკადემიური დავალიანების შემთხვევაში გადავიდეს მომდევნო დონეზე, თუკი ეს კურსი/კურსები არ წარმოადგენს ასეთ სრულყოფილ მიმართულების ძირითად სპეციალობის მოდულს;
- 4.6. სასწავლო ხელშეკრულებაში სტუდენტმა უნდა მიუთითოს:
 - სტუდენტის პირად ინომერი;
 - გვარი, სახელი, მამის სახელი;
 - აკადემიური წელი;
 - სწავლების წელი;
 - საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (არმეთითი თემა სწავლების პირველ წელს);
 - სასწავლო კურსის სკოდი;
 - სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა.
- 4.7. სტუდენტი სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ვალდებულია გაიაროს ყველა არჩეულის სასწავლო კურსი;

მუხლი 5. სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება

- 5.1. სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ შესასრულებელის ამუშაოს წარმატებით დასრულების შემდეგ. სტუდენტის დატვირთვა ერთ წლის განმავლობაში მოიცავს 60-75 კრედიტს.
- 5.2. კრედიტების მიღება/დაგროვების მიზნით სტუდენტი ვალდებულია ჩააბაროს:
 - სასწავლო კურსების შესაბამისი შუასემესტრული შემოწმება/გამოკითხვა (სემესტრის განმავლობაში);
 - საბოლოო გამოცდა (სემესტრის ბოლოს).
- 5.3. სტუდენტთა რანჟირება (შეფასება) განისაზღვრება 3.3 პუნქტის მიხედვით.

- 5.4. (FX)- უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს, დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ, ხელახლა გავიდეს საბოლოო გამოცდაზე.
- (F)- უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია სასწავლო კურსი ხელახლა გაიაროს. გამონაკლისს წარმოადგენს საშემსრულებლო ფაკულტეტებზე ძირითადი მოდულის (მაგალითად, "მსახიობისოსტატობა") საგნები, რომელთა აღდგენისა და ხელახლა გავლის შესაძლებლობა სტუდენტს აღარ ექნება. შესაბამისად, ამ მოდულის აუთვისებლობის შემთხვევაში სტუდენტი ვერ გადადის მომდევნო სემესტრზე.
- 5.5. სასწავლო კურსის ხელახლა გავლისათვის სტუდენტმა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს დეკანს და გადაიხადოს სასწავლო კურსის შესაბამისი ღირებულება.
- სასწავლო კურსის ღირებულება შეადგენს ერთი კრედიტის ღირებულება გამრავლებული კურსის კრედიტების რაოდენობაზე (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში 1 კრედიტი = 37,5 ლარი)
- 5.6. სტუდენტს უფლება აქვს ერთი და იგივე სასწავლო კურსი დამატებით გაიაროს ორჯერ 5.5 პუნქტის პირობების შესრულების შემთხვევაში. დამატებით მეორედ კურსის კრედიტის აუთვისებლობის შემთხვევაში სტუდენტს უჩერდება სტატუსი.
- 5.7. სტუდენტს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს დამატებით სემესტრებში, თუ მას არ ექნება მიღებული დადებითი შეფასება ერთი წლის განმავლობაში, 5.5 პუნქტის პირობების შესრულების შემთხვევაში.
- 5.8. სტუდენტს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ დამატებითი სემესტრის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს ოთხი სემესტრისა. აკადემიური დავალებიანების აღმოფხვრა ხდება სტუდენტის თვითდაფინანსებით დავალიანებაში არსებული კრედიტების რაოდენობის მიხედვით. (პუნქტი 5.5.)
- 5.9. სტუდენტს, რომელიც ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების რაოდენობას დამატებითი სემესტრების განმავლობაში პუნქტი 5.8-ს მიხედვით, შეუჩერდება სტატუსი და შეეძლება ისარგებლოს მობილობით ერთი წლის ვადაში.
- 5.10. სტუდენტის მიერ თითოეულ სემესტრში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა აღიწერება სტუდენტის სასწავლო ბარათში, რომელიც ინახება მის პირად საქმეში.
- 5.11. სტუდენტის "სასწავლო ბარათში" თითოეულ სასწავლო კურსში დაგროვილი კრედიტებისა და მიღებული ქულის შესახებ ინფორმაცია ჩაიწერება საბოლოო გამოცდის ჩატარების შემდეგ სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ წარმოდგენილი მონაცემების (აკადემიური ჟურნალის) შესაბამისად.

5.12. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

მუხლი 6. აკადემიური ჟურნალი

- 6.1. აკადემიური ჟურნალი არის თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ დაგროვილი მიღწევების თემატური ნაკრები (სტუდენტის დასწრება, მუალედური გამოკითხვები/შუასემესტრული შემოწმებები, მისი აქტიურობა, საშინაო დავალების შესრულება, საბოლოო გამოცდა და სხვა), რომელიც ასახავს მის პროფესიულ განვითარებას დროის გარკვეულ მონაკვეთში.
- 6.2. ჟურნალი სისტემატურად შევსებულ უნდა იქნას სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორისა თუ მასწავლებლის მიერ.
- 6.3. აკადემიურ ჟურნალში მოყვანილი ინფორმაციაზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი/მასწავლებელი.
- 6.4. ჟურნალი ყოველისემესტრის ბოლოს ბარდება დეკანატს.
- 6.5. საბოლოო გამოცდის შედეგების ასევე მიეწოდება დეკანატს გამოცდების ჩატარებიდან 3 დღის ვადაში.
- 6.7. ჟურნალში ინფორმაციის შეტანა უნდა წარმოებდეს მთელი სემესტრის განმავლობაში. დაუშვებელია მისი შევსება ერთჯერადად.
- 6.8. ჟურნალში უნდა აისახოს:
 - სტუდენტის მონაცემები (გვარი, სახელი);
 - სწავლების წელი და სემესტრი;
 - სწავლების საფეხური;
 - სასწავლო კურსის დასახელება;
 - სასწავლო კურსის შესაბამისი ECTS-ის კრედიტების რაოდენობა;
 - საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში;
 - სტუდენტის დასწრება (ლექციასა თუ პრაქტიკულ, სემინარულ, სტუდიურ მეცადინეობაზე და ა.შ.). ლექციებზე დასწრების აღრიცხვა სავალდებულოა. ნებისმიერი მიზეზით (საპატიო- არასაპატიო) აკადემიურის აგნის საათობრივი მოცულობის 2/3-ის გაცდენის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება საბოლოო გამცდაზე და 5.5 პუნქტის დაცვის შემდგომ ხელახლა გაივლის კურსს.

- შუასემესტრული გამოკითხვისას სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგი, გამოკითხვისთარიდ(ებ)ი;
- დასკვნით გამოცდაში მიღწეული შეფასება; საბოლოო (ფინალურ) გამოცდაზე სტუდენტის საპატიო მიზეზით არგამოცხადების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლა ყველა სტუდენტისთვის სავალდებულოა (გარდა პუნქტი 3.15 პუნქტში გაწერილი შემთხვევისა).
- საბოლოო ჯამური შეფასება.

მუხლი 7. უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი

- 7.1. თავისუფალი მსმენელის სტატუსის მოპოვების უფლება აქვთ საქართველოსა და უცხოეთის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებულ სტუდენტებს;
- 7.2. თავისუფალი მსმენელის უფლებები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მსმენელთან დადებული ხელშეკრულებით;
- 7.3. ბაკალავრიატში თავისუფალი მსმენელის სტატუსის მინიჭება ხდება არაუმეტეს ორი სემესტრის ვადით უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
- 7.4. თავისუფალი მსმენელს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოისმინოს მისთვის სასურველისას წავლოკურსების სემესტრში არაუმეტეს 30 კრედიტის მოცულობით. მათი მოსმენისა და გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ კი მიიღოს დამატურებული სერტიფიკატი;
- 7.5. მაგისტრატურაში თავისუფალ მსმენელად შეიძლება ჩაირიცხოს და ინტერესებული პირი მაგისტრატურის მისაღები გამოცდების ჩაბარების გარეშე;
- 7.6. თავისუფალი მსმენელი ადრეგისტრირების ვადებს, მისაღებ კონტინგენტსა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას ადგენს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯაროობა აუცილებელი მოთხოვნაა;
- 7.7. თავისუფალი მსმენელის სტატუსის მაძიებელი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს და თანხმობის შემთხვევაში გადაის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას და დგენილისა ფასურის ბანკში გადახდით;
- 7.8. თავისუფალი მსმენელის მიერ სამაგისტრო პროგრამის სრულად გავლა არ აძლევს მას შესაბამის დარგში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის უფლებას. მაგისტრის ხარისხის მოპოვების აუცილებელი წინაპირობაა უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული სამაგისტრო

გამოცდისა(თეორიულიმიმართულებისსპეციალობებზე)და საუნივერსიტეტო საკონკურსოგამოცდისშედეგებისსაფუძველზეან მხოლოდსაუნივერსიტეტო საკონკურსოგამოცდებისშედეგებისსაფუძველზე;

- 7.9. თავისუფალ მსმენელს შეუძლია მოითხოვოს მისმიერამსტატუსით მოსმენილი სასწავლოკურსებისადამიღებულიშეფასებებისაღიარება;
- 7.10.თავისუფალი მსმენელისათვის სწავლის საფასური ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაშიგანისაზღვრებასასწავლოკურსის კრედიტებისმოცულობის შესაბამისადდაერთიკრედიტისღირებულებაშეადგენს:
- საბაკალავროპროგრამაზე-37,5ლარს;
 - სამაგისტროპროგრამაზე-37,5ლარს;
 - ცალკეული სამაგისტრო პროგრამებზე შეიძლება დაწესდეს სწავლების განსხვავებულისაფასური,მაგრამარანაკლებამ პუნქტისწინაქვეპუნქტით გათვალისწინებული ოდენობისა;

მუხლი 8.საქართველოსა დაუცხოეთისუმაღლესსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული შეფასებებისაღიარება

- 8.1. უნივერსიტეტისსტუდენტების,აგრეთვე მობილობისფარგლებშიუნივერსიტეტში გადმოყვანის წესითჩარიცხულთა დაუნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელთა მიერ საქართველოსადა უცხოეთის უმაღლესსაგანმანათლებლოდაწესებულებებში მოსმენილისაგნებისადა მიღებულიშეფასებების, განათლებისაღიარებახდებასაქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ, რის შემდგომაც შესაბამისი ფაკულტეტის მიერდგინდება პროგრამასთან შესაბამისობაფაკულტეტს კომისიისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზესაქართველოსკანონმდებლობით დადგენილიწესისშესაბამისად;
- 8.2. შეფასებების აღიარება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისშესაბამისად,მხოლოდიმ შემთხვევაში,თუკონკრეტულუმაღლეს საგანმანათლებლოდაწესებულებაშისტუდენტმასწავლა შეწყვიტააღნიშნული პროგრამისშესწავლაშიშესაბამისიაკადემიურიხარისხის დამადასტურებელი დიპლომისმიღებისგარეშე.

მუხლი

9.უცხოქვეყნისმოქალაქეებისადამოქალაქეობისარმქონეპირთაუნივერსიტეტშიჩარიცხვა

- 9.1. უნივერსიტეტი აკრედიტაციის შედეგად დადგენილი მისაღები კონტინგენტის ფარგლებში განსაზღვრავს ადგილებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის;
- 9.2. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;
- 9.3. უნივერსიტეტის ჩარიცხვის წინაპირობაა უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობა.

მუხლი 10. უნივერსიტეტის სტუდენტის უფლება-მოვალეობები

10.1. უნივერსიტეტის სტუდენტის უფლებააქვს:

- 1) მიიღოს ხარისხიანი განათლება დამონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;
- 2) ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, შემოქმედებითის ტუდია-ლაბორატორიებით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- 3) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;
- 4) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;
- 5) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაციები საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების და გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;
- 6) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება.

10.2. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:

- 1) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- 2) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
- 3) გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის და დადგენილ ვადებში დაგაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;
- 4) ერთი თვის ვადაში აცნობოს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს პირად ბარათში მითითებული ინფორმაციის ცვლილებებზე;
- 5) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
- 6) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

10.3. სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

- 1) პლაგიატი-ნაშრომშისხვისიაზრისათუნაშრომისციტირებაავტორისმითითების გარეშე;
- 2) თამბაქოსმოწვევა,გარდასპეციალურადგამოყოფილიადგილებისა;
- 3) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა დაშურაცხყოფა სტუდენტების,აკადემიური,ადმინისტრაციული დადამხმარეპერსონალისმიმართ;
- 4) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზემუქართ, ფიზიკურიანფსიქოლოგიურიზემოქმედებით,მოტყუებით,თაღლითობითათუსხვადა უშვებელი ხერხებითა დაქმედებით;

მუხლი 11.სტუდენტისსტატუსისშეჩერება

11.1. სტუდენტისსტატუსისშეჩერებისსაფუძველია:

- 1) ადმინისტრაციული რეგისტრაციისგაუვლელიობა;
- 2) აკადემიურიშვებულება;
- 3) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე, ანგანსაკუთრებით მძიმედანაშაულისათვის განაჩენისკანონიერძალაშიშესვლამდე;
- 4) ერთი და იმავესაგნის ორჯერ მოსმენა და კრედიტის ვერ მიღება;
- 5) პირადი განცხდება;

11.2. სტუდენტსაკადემიურიშვებულებაემღევა:

- 1) უცხოეთშისწავლისგაგრძელებისმიზნით,არაუმეტესსამიწლისვადით,გარდა იმ შემთხვევისა,როცადოკუმენტურადდასტურდება სასწავლო პროგრამის მეტი ხანგრძლივობა;
- 2) სავალდებულოსამხედროსამსახურშიგაწვევისგამო;
- 3) მძიმეავადმყოფობისმიზეზით;
- 4) ოჯახის ავადმყოფ წევრებზე მეურვეობის მიზნით, ორსულობისა დაახალშობილთამოვლისგამო (არაუმეტეს2სემესტრისა);

11.3. აკადემიურ შვებულებაში მყოფი ან სტატუსშეჩერებულისტუდენტისწავლასაგრძელებსიმ სემესტრიდან, საიდანაცმეურჩერდასტუდენტისსტატუსი (გარდა 5.6 პუნქტში გაწერილი შემთხვევისა);

11.4. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობის შემთხვევაში, სტატუსის ავტომატურრეჟიმშიშეჩერებისას,სემესტრებისათვლაგრძელდებადა სტუდენტი სწავლასაგრძელებსიმ სემესტრიდან,რომელშიცგაივლისადმინისტრაციულ რეგისტრაციას.

11.5. სტატუსის შეჩერების შემთხვევაშიკანდიდატს ეძლევა უნივერსიტეტისსხვაფაკულტეტზე,ანსხვა უმაღლესსაგანმანათლებლო დაწესებულებაშიგადასვლისშესაძლებლობა.

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

12.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- 1) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- 2) პირადი განცხადება;
- 3) ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულთა პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა ბაკალავრიატის და/ან მაგისტრატურის აკადემიურ საფეხურზე;
- 4) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;
- 5) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;
- 6) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა ზედიზედ სამი სემესტრის განმავლობაში;
- 7) სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლა;
- 8) 10.3. პუნქტის მე-3 და მე-4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები;
- 9) გარდაცვალება;

მუხლი 13. დამატებითი სემესტრის გავლა

13.1. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვით დაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო, არაუმეტეს ოთხი სემესტრის მანძილზე;

13.2. დამატებითი სემესტრის სტუდენტს წავლის საფასური განესაზღვრება დეკანატის წარდგინების საფუძველზე, შესასწავლი დისციპლინების კრედიტების მოცულობის ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად, შემდეგი წესით:

- სემესტრში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის (30 კრედიტის მოცულობით) სრულად გავლის შემთხვევაში საფასური განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით;
- ცალკეული სასწავლო კურსის შესწავლისას საფასური განისაზღვრება საგნისათვის მინიჭებული კრედიტის შესაბამისად და შეადგენს: ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში ყოველ კრედიტზე 25 ლარს, (გარდა 2009–2010 სასწავლო წლიდან ჩარიცხული სტუდენტებისა) – და ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში ყოველ კრედიტზე 37,5 ლარს (2009–2010 სასწავლო წლიდან ჩარიცხულის სტუდენტებისათვის);

- 13.4. ეს ტარიფი არ ვრცელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და დოქტორანტურის აკადემიური საფეხურის პროგრამებისთვის, რომელთაწლიური საფასური განსხვავებულია.
- 13.5. სტუდენტს, რომელიც დამატებითი სემესტრებით გათვალისწინებულ ვადებში ცვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტებს, უწყდება სტუდენტის სტატუსი და იძენს კურსმოსმენილის სტატუსს, რომელიც დასტურდება აკადემიური ცნობით.

მუხლი 14. გამოცდების ჩატარების წესები

- 14.1. სტუდენტის სემესტრულ საბოლოო გამოცდაზე დაშვებისათვის აუცილებელი მინიმალური ქულაა 21, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ სასწავლო კურსის სილაბუსი არ ითვალისწინებს სხვა მოთხოვნებს;
- 14.2. სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:
- დანიშნულ გამოცდაზე გამოუცხადებლობა არასაპატიომიზეზით ან გამოცხადება და გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება;
 - შეფასების მიღება გამოცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით და სხვა დაუშვებელი ხერხების გამოყენებით;
 - გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დაუშვებელი ჩანაწერების (ე.წ. “შპარგალკა”) გამოყენება;
 - აუდიტორიიდან გაძევება გამოცდის ჩაშლის მცდელობის, ან საგამოცდო განაწესის დარღვევის გამო;
 - გამოცდაზე შეფასების ამკომპონენტისათვის დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება;
- 14.3. დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება ან გამოცდაზე უარის თქმა შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მოთხოვნის საპატიომიზეზის მითითებითა და დასაბუთებით;
- 14.4. გამოცდის განმეორებით ჩატარების პირობებია:
- 1) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატის გადაწყვეტილება სტუდენტის გამოცდაზე განმეორებით დაშვების შესახებ, დადგენილი წესის თანახმად;
 - 2) საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის არა დამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში, მისი განმეორებით დაცვაზე წარმოდგენა იმავ სემესტრში დაუშვებელია;
 - 3) 41-51 მდესემესტრული შეფასების პირობებში სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე;

- 4) სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს, რომლის სემესტრულ შეფასებათაჯამი 21 ქულაზე ნაკლებია არის, კიდევ ერთხელ ეძლევა საბოლოო გამოცდაზე გასვლის უფლება კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე;
- 5) სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათარაოდენობა.
- 6) დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
- 7) დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა და სტუდენტი ვალდებულია განმეორებით მოსმინოს სასწავლო კურსი;
- 8) სტუდენტი გამოცდაზე განმეორებით დაიშვება მიმდინარე სემესტრის სასესიო პერიოდში, დამატებითი გამოცდისათვის დადგენილ ვადებში;
- 9) ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის, ან არადაამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტისათვის განმეორებითი გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დაუშვებელია.

14.5. სტუდენტის შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:

- 1) თეორიული პროფილის დისციპლინებში დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების ფორმა შეიძლება იყოს წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს;
- 2) საშემსრულებლო მიმართულების კურსების გამოცდების ფორმასა და პროცედურებს ადგენს შესაბამისი ფაკულტეტი
- 3) საკრედიტოსის ტემით შეფასება ხდება მე-3 პარაგრაფში აღწერილის ქემით;
- 4) მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების წერითი ნაშუქები ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- 5) თუ შეფასებას რამდენიმე გამოცდელია ხდენს, საბოლოო შეფასებასაშუალო არითმეტიკულია.

14.6. გამოცდის შედეგების გასაჩივრება ხდება შემდეგნაირად:

- სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში დასაბუთებულისა ჩივრით მიმართოს ფაკულტეტის დეკანატს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა;
- კონკურსანტი, რომელიც არ ეთანხმება მისაღები გამოცდაზე მიღებულ შედეგს, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან

2დღისვადაშიდასაბუთებული საჩივრი თმომართოს უნივერსიტეტის
 მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურს და
 მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა;

➤ საჩივარი დასაშვებია, თუ კონკურსანტი/სტუდენტი
 უთითებს პროცედურულ დარღვევებზე და შეფასების დადგენილის სტემის
 შეუსრულებლობაზე;

მუხლი 15. აკადემიური ხარისხის მინიჭება/ბათილობა და დიპლომი

- 15.1. საუნივერსიტეტო განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი. ბაკალავრის, მაგისტრის აკადემიური ხარისხსა და დიპლომირებულის სპეციალისტის ხარისხს, დადგენილი წესის თანახმად, ანიჭებს უნივერსიტეტი შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე;
- 15.2. აკადემიურ ხარისხს ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ;
- 15.3. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული წესების დაცვით; აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ;
- 15.4. დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა ხდება უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 16. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული დოკუმენტები

- 16.1. ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად გამოცხადდეს შემდეგი დოკუმენტები:
- შოთარუსთაველის თეატრის ადაკინოს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (ბრძანება N131/2-17.09.2007).
 - შოთარუსთაველის თეატრის ადაკინოს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (ბრძანება N138/2-23.10.2009).
 - შოთარუსთაველის თეატრის ადაკინოს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (ბრძანება N:15/2-17.02.2011)
16. 2. წინამდებარე აქტი ამოქმედდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან

სარჩევი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 2. სასწავლო პროცესის ორგანიზება

მუხლი 3. სტუდენტთა მიღწევის შეფასება

მუხლი 4. სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება

მუხლი 5. სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება

მუხლი 6. აკადემიური ჟურნალი

მუხლი 7. უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი

მუხლი 8. საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული შეფასებების აღიარება

მუხლი

9. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა

მუხლი 10. უნივერსიტეტის სტუდენტის უფლება-მოვალეობები

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

მუხლი 13. დამატებითი მესტრის გავლა

მუხლი 14. გამოცდების ჩატარების წესები

მუხლი 15. აკადემიური ხარისხის მინიჭება/ბათილობა და დიპლომი

მუხლი 16. ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული დოკუმენტები